ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №5023152

ნომერი: AR1759064

თარიღი : 06.07.2020

გაცემის თარიღი : 13.07.2020

გაცნობის თარიღი : 13.07.2020

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა კოტე აფხაზი , N 39 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა აბოვიანი , N16 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა ხანძთელი (ყოფ. მიასნიკოვი) , N 26/14;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მარიამ პაპუკაშვილი პ/ნ 01008044858
- თბილისი თ.აბულაძის ქ. N 22 ბ. 3

ორგანიზაცია:

- შპს კალა უბანი კოდი: 405363690

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება
- III კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2020 წლის 06 ივლისის AR1759064 განცხადებით მომართა მოქალაქე მარიამ პაპუკაშვილმა და მოითხოვა სამსახურის 2020 წლის 18 მარტის №4903757 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა, ფუნქციური ზონის ცვლილების მიზნით.

სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის

18 მარტის №4903757 ბრძანებით, ქალაქ თბილისში, კოტე აფხაზის ქუჩა N39; ქალაქი თბილისი, აბოვიანის ქუჩა N16; ქალაქი თბილისი, ხანძთელის ქუჩა (ყოფ. მიასნიკოვი), N 26/14, საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ N 01.18.03.048.035; (836კვ.მ) მიწის ნაკვეთზე სასტუმროს მშენებლობის განხორციელების მიზნით დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები (ნაკვეთზე ვრცელდებოდა შემდეგი ფუნქციურიზონები: საცხოვრებელი ზონა–3 (სზ–3); საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1 (სსზ-1))

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 30 ივნისის N59-65 დადგენილებით, შეტანილ იქნა ცვლილება ,,დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ'' ქ. თბილისის მუნიციპალიტეტი საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებაში, ქ. თბილისში, ქალაქ თბილისში, კოტე აფხაზის ქუჩა N39; ქალაქი თბილისი, აბოვიანის ქუჩა N16; ქალაქი თბილისი, ხანძთელის ქუჩა (ყოფ. მიასნიკოვი), N 26/14, საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ N 01.18.03.048.035; (836კვ.მ) დაზუსტდა კონტური საცხოვრებელ ზონა 3-ს და საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ს შორის, კერძოდ: საცხოვრებელი ზონა 3 შეიცვალა საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1.

ვინაიდან, ამ ეტაპზე საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება მხოლოდ საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1 (სსზ-1), საჭიროა 2020 წლის 18 მარტის №4903757 ბრძანებაში შევიდეს ცვლილება და ფუნქციურ ზონად დაფიქსირდეს საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1 (სსზ-1).

სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია 2020 წლის 18 მარტის №4903757 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

ვბრძანებ

1. შეტანილ იქნას ცვლილება ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 18 მარტის №4903757 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში და ფუნქციურ ზონად დაფიქსირდეს: საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1 (სსზ-1).
2. ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის 2020 წლის 18 მარტის №4903757 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებიდან ამოღებული იქნას შემდეგი ჩანაწერი: სზ-3 განაშენიანების რეგულირების პარამეტრები და დაცულ იქნეს ფუნქციურ ზონებს შორის საზღვარი (იხ. დანართი).
3. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 18 მარტის №4903757 ბრძანებასთან ერთად;
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: შარტავას ქუჩა №7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

- I თავი ასახავს საფუძველმდებარე ინფორმაციას - საყრდენი მონაცემები მიწის ნაკვეთის შესახებ რომლის, ანრომელზე მდგომი შენობა-ნაგებობის განვითარებაც არის დაგეგმილი;
- II თავში მოცემულია ძირითადი მოთხოვნები (პირობები) - კანონმდებლობით უშუალოდ გათვალისწინებულივალდებულებები, მიწის ნაკვეთის (და შენობა-ნაგებობის) სამშენებლო განვითარებაზე;
- III თავში მოცემულია დამატებითი ან/და სპეციალური მოთხოვნები, რომელიც გათვალისწინებულია„მშენებლობისნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57დადგენილებით, ქ. თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27მარტის N4-13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ქ.თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა დაგანაშენიანების რეგულირების წესებით“ და სხვა მოქმედი ტექნიკურირეგლამენტებითა და ნორმატივებით;
- IV თავი შეიცავს ზოგად ინფორმაციას მშენებლობის ნებართვის II და III სტადიებთან დაკავშირებით.